N 146-49
23/02/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბატონ კობა ლურსმანაშვილს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის ვლადიმერ გელაშვილის

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. გადმოტანილი იქნას სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთიდან 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებში 245 128 (ორას ორმოცდახუთი ათას ას ოცდარვა) ლარი, აქედან:

ა). გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია - ექსპლუატაციის ხარჯებში 241 928 ლარი, მ. შ

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20. 01. N 39 განკარგულებით , ხარაგაული-ფარცხნალის გზის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი 230 000 ლარი;
- საქ. მთავრობის 2015 წლის 21.11. N 2529 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი 628 ლარი;
- საქ. მთავრობის 2013 წლის 04.04. N 311 განკარგულებით დარჩენილი 11 300 ლარი.

ბ). სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად 3200 ლარი, საქ. მთავრობის 2015 წლის 12.03. N 506 განკარგულებით დარჩენილი სახსრების ნაშთიდან წყლის სისტემების მოსაწესრიგებლად.

2. საჭიროებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებში მიმართული იქნას 11 000 ლარი, აქედან:

- 10 000 ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის ხარჯებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების შესავსებად;
- 1000 ლარი ა(ა)იპ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის სუბსიდიის ხარჯებში გაუთვალისწინებელი კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 9148,6 ათასი ლარი გაიზარდოს 256,1 ათასი ლარით და განისაზღვროს 9404,7 ათასი ლარი; ხარჯების დაფინანსების წყაროდ გამოყენებული იქნას 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 245,1 ათასი ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 11,0 ათასი ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი